1936

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1936 წ. ნოემბრის 29. № 27 ტფილისი

შინაარსი

საადმინისტრაციო დაყოფა.

159. დასახლებული პუნქტი ამბროლაურის სოფლად ცნობის შესახებ.

სახელმწიფო მმართველობა.

160. სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის პასუხისმგებლობის დებულების 21 მუხლის შეცვლის შესახებ.

სამოქალაქო სამართალი.

161. კერძო პირთა და საზოგადოებათა ქონების რეკვიზიციისა და კონფისკაციის დებულების (სამოქალაქო სამართლის კოდექსის 69 და 70 მუხლების დანართი) მე-3 მუხლის შეცვლის შესახებ.

162. „განსაზოგადოებული სექტორის დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათათვის სამშენებლოდ, უვადო სარგებლობის უფლებით, მიწის ნაკვეთების გადაცემის თაობაზე“ გამოცემული, დადგენილების მე-14 მუხლის შეცვლის შესახებ.

მიწის, ტყის და წყლის მეურნეობა.

ხოფლის მეურნეობა.

163. საქართველოში (აფხაზეთის ასსრ გამოკლებით) 1936 წლის ზოსავლის თამბაქოს კონტრაქტაციის ასორტიმენტის შეცვლის შესახებ.

ფინანსები.

164. „ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა თაობაზე“ გამოცემული დადგენილების მე-5 მუხლისათვის „თ“ და „ი“ პუნქტების დამატების შესახებ.

165. „წამოწყების მოგებიდან დირექტორის ფონდის შექმნის თაობაზე“ გამოცემულ დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ კანონმდებლობაში ცვლილებათა შეტანის შესახებ.

ქორწინება, ოჯახი, მეურვეობა.

166. საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსის 38 და 127 მუხლების შეცვლისა და ამ კოდექსისათვის 138[1] მუხლის დამატების შესახებ.

განათლება.

167. საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატთან არსებული, სანახაობათა და რეპერტუარის კონტროლის მთავარი სამმართველოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული, ხელოვნების სამმართველოსათვის გადაცემის შესახებ.

სოციალური უზრუნველყოფა.

168. საქართველოს ღარიბ ებრაელთა დამხმარე კომიტეტის ლიკვიდაციის შესახებ.

სასამართლო წყობილება და სამართლის წარმოება.

169. სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 258 მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტების შეცვლის შესახებ.

სისხლის სამართალი.

170. სისხლის სამართლის კოდექსის 149 და 166 მუხლების შეცვლის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საადმინისტრაციო დაყოფა

159. დადგენილება ც.ა.კ.

დასახლებული პუნქტი ამბროლაურის სოფლად ცნობის შესახებ.

„ამბროლაურის რაიონის სარაიონო ცენტრის შესახებ“ გამოცემული, სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1936 წ. ივნისის 11-ის დადგენილების შესაბამისად, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

I.

დასახლებული პუნქტი, სარაიონო ცენტრი, ამბროლაური ცნობილ იქნას სოფლად და არა ქალაქად.

II.

ქალაქის მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა დეპუტატების საბჭოების დებულების 1-ლ მუხლის შენიშვნა (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. 21 №-ი, მუხ. 179) მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„**შენიშვნა.** ქალაქ სიღნაღსა, დუშეთსა, ახალქალაქსა, ონსა, გალსა, ოჩემჩირსა, გუდაუთსა და გაგრაში მოეწყობა სასოფლო საბჭოები სასოფლო საბჭოებზე მოქმედი კანონმდებლობის თანახმად“.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **თ. ჟღენტი.**

1936 წ. სექტემბრის 29. № 163.
ტფილისი.

სახელმწიფო მმართველობა

160. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამდადგენილებათა დარღვევისათვის პასუხისმგებლობის დებულების 21 მუხლის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის პასუხისმგებლობის დებულების 21 მუხლი (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-20 №-ი, მუხ. 208) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„21. დამოუკიდებულ საადმინისტრაციო-სამეურნეო ერთეულებად გამოყოფილი ქალაქების საქალაქო საბჭოებს შეუძლიათ იმ სავალდებულო დადგენილებებში, რომლებითაც რეგულირდება წესრიგი საჯარო ადგილებში და მოძრაობა ქუჩებში და რომლებშიაც ზედმიწევნით აღნიშნულია დარღვევის შედგენილობა და ამისათვის დანიშნულია ჯარიმა განსაზღვრული რაოდენობით, ხოლო, ამასთანავე. არა უმეტეს სამი მანეთისა, დააწესონ ამ ჯარიმის გადახდევინება დარღვევის ადგილსავე“.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ნ. ილიუშინი.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **თ. ულენტი.**

1936 წ. ოქტომბრის 11. № 166/1371.
ტფილისი.

სამოქალაქო სამართალი

161. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

კერძო პირთა და საზოგადოებათა ქონების რეკვიზიციისა და კონფისკაციის დებულების (სამოქალაქო სამართლის კოდექსის 69 და 70 მუხლების დანართი) მე-3 მუხლის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

კერძო პირთა და საზოგადოებათა ქონების რეკვიზიციისა და კონფისკაციის დებულების (სამოქალაქო სამართლის კოდექსის 69 და 70 მუხლების დანართი—საქ. სსრ კან. კრ. 1926 წ. მე-2 №-ი, მუხ. 49) მე-3 მუხლი მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„3. ქონების რეკვიზიცია შეიძლება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში და მარტოოდენ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით, რასაც აასრულებს ის სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი, რომლის ტერიტორიაზედაც სარეკვიზიციო ქონებაა“.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **თ. ულენტი.**

1936 წ. ოქტომბრის 20. № 172/1377.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

162. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

„განსაზოგადოებული სექტორის დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათათვის სამშენებლოდ, უვადო სარგებლობის უფლებით, მიწის ნაკვეთების გადაცემის თაობაზე“ გამოცემული დადგენილების მე-14 მუხლის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

მე-14 მუხლი სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. ივნისის 16-ის დადგენილებისა „განსაზოგადოებული სექტორის დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათათვის სამშენებლოდ, უვადო სარგებლობის უფლებით, მიწის ნაკვეთების გადაცემის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. 23 № ი, მუხ. 191) მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„14. მიწის ნაკვეთების უვადოდ მოსარგებლეთა მიერ აგებული საკუთარი, არა საცხოვრებელი ტიპის საკანცელარიო, საწარმოო, (სავაჭრო-სასაწყობო, და სხვა მისთ.) სადგომების იჯარით გაცემისას, ადგილობრივი საბჭოები ან აღმასრულებელი კომიტეტები აწესებენ მიწის ნაკვეთების უვადოდ მოსარგებლეთა მიერ მისაღები საიჯარო ქირის ანარიცხს. ანარიცხის რაოდენობა განისაზღვრება იმ თანხით, რაც შეადგენს განსხვავებას გაქირავებული სადგომების საიჯარო ქირასა და შენობის ამორტიზაციის ნორმალურ პროცენტსა და აგრეთვე ამ სადგომების საექსპლოატაციო და შესანახ ხარჯებს შორის (სესხის პროცენტის ჩათვლით).

ანარიცხი არ გადაიხდევინება კულტურულ-საყოფაცხოვრებო ხასიათის სადგომებზე (კინო, სასპორტო სადგომი, სამრეცხველო და სხვა მისთ).

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ნ. ილიუშინი.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **თ. ყლენტი.**

1936 წ. ოქტომბრის 11. № 167/1372.

ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიწის, ტყის და წყლის მეურნეობა. სოფლის მეურნეობა.

163. დადგენილება ს.კ.ს.

საქართველოში (აფხაზეთის ასსრ გამოკლებით) 1936 წლის მოსავლის თამბაქოს კონტრაქტაციის ასორტიმენტის შეცვლის შესახებ.

თანახმად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დამზადებათა კომიტეტის 1936 წ. მაისის 5-ის № 1688 დადგენილებისა და საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს და კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1936 წ. მარტის 26-ს № 307 დადგენილების (საქ. სსრ კან. კრ. 1936 წ. № 11, მუხ. 70) მე-6 მუხ. შესაცვლელად, საქართველოს სსრ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესებულ იქნას საქართველოს და აჭარის ასსრ მეთამბაქოობის რაიონებში (აფხაზეთის ასსრ გამოკლებით) თამბაქოს კონტრაქტაციის შემდეგი საშუალო რესპუბლიკანური ასორტიმენტი:

I ხარისხის	0,7%
II „	3,5%
III „	16,0%
IV „	63,3%
V „	11,5%

და დამტკიცდეს ასორტიმენტის შემდეგი განაწილება მეთამბაქოობის ცალკეულ რაიონებს შორის (იხ. დანართი).

2. წინადადება მიეცეს აჭარის ასსრ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს და მეთამბაქოობის რაიონების სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს დაემყარონ ამ დადგენილებით დაწესებულ თამბაქოების ასორტიმენტს, დაანაწილონ იგი კოლმეურნეობათა და ერთპიროვნულ მეურნეთა შორის სოფლად, დაიყვანონ იგი მეთამბაქოობის თვითოეულ მეურნეობამდე დადებულ საკონტრაქტაციო ხელშეკრულებებში სათანადო ცვლილებების შეტანით და ეს მუშაობა დაამთავრონ არა უგვიანეს 1936 წ. ოქტომბრის 5-ისა.

საკონტრაქტაციო ხელშეკრულებებში თამბაქოს ასორტიმენტის შესახებ ცვლილებების შეტანის დროს ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა ჩაატარონ მეთამბაქოობის მეურნეობებში და უკანასკნელთა მთელი ყურადღება მიაქციონ ყველა აგრო-ტექნიკურ ღონისძიებათა გატარების საჭიროებას-თამბაქოს პლანტაციების თავის დროზე დასამუშავებლად, მოსავლის უდანაკარგოდ ასაღებად, გასაშრობად, მოსავლის აღების შემდეგ დასამუშავებლად და სახელმწიფოსათვის თამბაქოს ჩასაბარებლად.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ნ. ილიუშინი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. **ს. მებუკე.**

1936 წ. სექტემბრის 22. № 1195.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1936 წლის თამბაქოს მოსავლის ასორტიმენტი საქართველოს სსრ-თვის

(აფხაზეთის გამოკლებით)

ბოტანიკური თესლი და რაიონები	I ხარისხი		II ხარისხი		III ხარისხი		IV ხარისხი		V ხარისხი		სულ	
	აბსოლ. ტონ.	%	აბსოლ. ტონ.	%	აბსოლ. ტონ.	%	აბსოლ. ტონ.	%	აბსოლ. ტონ.	%	აბსოლ. ტონ.	%
ტრაპიზონის თესლი												
1. ლაგოდეხის	23,5	0,8	126,7	4,3	571,7	19,4	1944,65	65,99	280,35	9,51	2346,9	100
2. სიღნაღის	6,0	0,5	35,0	2,9	156,6	13,0	862,6	71,6	144,6	12,0	1204,8	100
3. ყვარლის	1,1	0,3	4,3	1,2	18,0	5,0	288,2	79,8	49,5	13,7	361,1	100
4. გურჯაანის	0,3	0,2	1,2	0,8	4,9	3,4	117,1	81,1	20,9	14,5	144,4	100
5. ბორჩალოს	0,7	0,1	2,7	0,4	20,3	3,0	531,3	78,5	121,8	18,0	675,8	100
6. ლუქსემბურგის	—	—	0,2	0,2	1,3	1,5	70,1	79,85	16,2	18,45	87,8	100
7. აჭარის ასსრ	3,0	1,2	15,5	6,2	63,5	25,4	141,7	56,7	26,3	10,5	250,0	100
სულ ტრაპიზონის თესლი	**34,6**	**0,61**	**185,6**	**3,27**	**836,3**	**14,74**	**3955,65**	**69,75**	**659,65**	**11,63**	**5571,8**	**100**
სამსუნის თესლი												
1. ზუგდიდის	2,4	2,0	7,5	6,18	38,8	31,95	61,2	50,4	11,5	9,47	121,4	100
2. წალენჯიხის	0,6	1,5	2,3	5,3	10,8	24,9	25,4	58,6	4,2	9,7	43,3	100
3. ჩხოროწყუს	1,3	2,04	3,9	6,12	20,4	32,02	32,1	50,4	6,0	9,42	63,7	100
4. ჩოხატაურის	2,1	1,5	7,6	5,3	35,7	25,0	82,5	57,77	14,9	10,43	142,8	100
5. აჭარის ასსრ	2,05	1,92	8,45	7,9	42,0	39,25	43,4	40,55	11,1	10,38	107,0	100
სულ სამსუნის თესლი	**8,45**	**1,77**	**29,75**	**6,22**	**147,7**	**30,88**	**244,6**	**15,15**	**47,7**	**9,93**	**478,2**	**100**
სულ ორივე თესლი	**43,05**	**0,7**	**215,25**	**3,5**	**984,0**	**15,0**	**4200,45**	**68,3**	**707,25**	**11,5**	**6150,0**	**100**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფ ი ნ ა ნ ს ე ბ ი

164. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

„ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა თაობაზე“ გამოცემული დადგენილების მე-5 მუხლისათვის „თ“ და „ი“ პუნქტების დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

„ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა შესახებ“ გამოცემული, 1931 წ. აპრილის 3-ის დადგენილების მე-5 მუხლს (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-6 №-ი, მუხ. 6 და მე-13 №-ი მუხ. 196; 1932 წ. 23 №-ი, მუხ. 226; 1936 წ. მე-8 №-ი, მუხ. 59 და მე-12 №-ი, მუხ. 75) დაემატოს „თ“ და „ი“ პუნქტები შემდეგი შინაარსისა:

[5. სატრანსპორტო საშუალებათა გადასახადისაგან განთავისუფლდება:...]

„თ) მშრომელთა მიერ ავტოვალდებულებებით შეძენილი ან პრემიად მიღებული და პატრონთაგან მარტოოდენ პირადი საჭიროებისათვის გამოსაყენებელი ავტომობილი და მოტოციკლი;

ი) საბავშვო ველოსიპედი“.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ნ. ილუშინი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **თ. ჟღენტი.**

1936 წ. ოქტომბრის 11. № 168/1373.
ტფილისი.

---

165. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

„წამოწყების მოგებიდან დირექტორის ფონდის შექმნის თაობაზე“ გამოცემულ დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ კანონმდებლობაში ცვლილებათა შეტანის შესახებ.

„წამოწყების მოგებიდან დირექტორის ფონდის შექმნის შესახებ“ გამოცემული, სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წ. აპრილის 19-ის თარიღის და 54/729 №-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1936 წ. მე-20 №-ი, მუხ. 169), რომელი დადგენილების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტითაც გაუქმებულია მუშათა და მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდების დებულება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

გაუქმებულ იქნას:

1) 1929 წ. სექტემბრის 29-ის დებულება ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ კომუნალურ საწარმოთა მუშა-მოსამსახურეების ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდების შესახებ (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. მე-20 №-ი, მუხ. 221 და 1930 წ. მე-12 №-ი, მუხ. 173);

2) მე-3 მუხლის „ბ" პუნქტი სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წ. ივნისის 3-ის დადგენილებისა „ბავშვებისათვის გასაწევი საბაგო მომსახურეობის გაუმჯობესებისა და განვითარების ღონისძიებათა შესახებ" და ამოიშალოს იმავე მუხლის შესავალ ნაწილში სიტყვები: „იმავე საჭიროებისათვის მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდიდან სახსართა გამოყოფა" (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. მე-16 №-ი, მუხ. 227);

3) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. თებერვლის 5-ის თარიღის და 106№-ის დადგენილება „მუშათა და მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდიდან ბავშვთა დაცვის დაწესებულებებისათვის გადასადები ანარიცხების შესახებ" (საქ. სსრ კან. კრ. 1935 წ. მე-5 №-ი, მუხ. 30; 27 №-ი, მუხ. 166).

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. ნ. ილიუშინი.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი თ. ჟღენტი.

1936 წ. ოქტომბრის 11. № 171/1376.
ტფილისი.

ქორწინება, ოჯახი, მეურვეობა

166. დადგენილება ს. კ. ს.

საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსის 38 და 127 მუხლების შეცვლისა და ამ კოდექსისათვის 138[1] მუხლის დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსში (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. მე-6 №-ი, მუხ. 56) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

1. 38 და 127 მუხლები მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„38. უკეთუ სასამართლოში აღიძვრის საქმე იმის შესახებ, რომ სამოქალაქო მდგომარეობის აქტებში სწორედ ჩაწერილი არ არიან ბავშვის მშობლები

და რომ ბავშვის მამად ან დედად ცნობილ უნდა იქნან არა ის პირნი, ვინც ჩაწერილია ბავშვის მამად ან დედად, სასამართლო გადაწყვეტს საქმეს მარტოოდენ ბავშვის ინტერესების მიხედვით, და მოვალეა უარი უთხრას სარჩელზე ნამდვილ მამას ან დედას, თუ ამას ბავშვის ინტერესები მოითხოვს".

38 მუხლის შენიშვნები ამოიშალოს.

„127. სამოქალაქო მდგომარეობის აქტების ჩანაწერი, დაბადების დროის შესახები ჩანაწერის გარდა, დაინტერესებულ პირს შეუძლია სადაოდ გამოაცხადოს სასამართლო წესით.

დაბადების დროის შესახები ჩანაწერის შესწორება წარმოებს 138[1] მუხლით გათვალისწინებული წესისამებრ".

2. დაემატოს 138[1] მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„138[1]. დაბადების შესახები დაღუპული სამოქალაქო მდგომარეობის აქტების აღდგენას, აქტებში აღნიშნული დაბადების დროის შესწორებას და დაბადების რეგისტრაციას, როდესაც დაბადების დღიდან ერთ წელზე მეტია გასული, აწარმოებენ სამოქალაქო მდგომარეობის აქტების ჩამწერ სარაიონო და საქალაქო (დამოუკიდებელ-საადმინისტრაციო ერთეულად გამოყოფილ ქალაქებში) ბიუროებთან მოწყობილი კომისიები შემდეგი შედგენილობით: შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ადგილობრივი განყოფილების წარმომადგენელი, სამოქალაქო მდგომარეობის აქტების ჩამწერი სარაიონო ან საქალაქო ბიუროს გამგე, აღმასრულებელი კომიტეტის ან საქალაქო საბჭოს წარმომადგენელი და ექიმი-ჯანმრთელობის ადგილობრივი განყოფილების წარმომადგენელი.

კომისიებში საქმეთა განხილვის წესი განისაზღვრება შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ, იუსტიციის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, გამოცემული ინსტრუქციით".

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ნ. ილიუშინი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **თ. ჟღენტი.**

1936 წ. ოქტომბრის 11. № 169/1374.

ტფილისი.

გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა

167. დადგენილება ც.ა.კ და ს.კ.ს.

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატთან არსებული, სანახაობათა და რეპერტუარის კონტროლის მთავარი სამმართველოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული, ხელოვნების სამმართველოსათვის გადაცემის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატთან არსებული, სანახაობათა და რეპერტუარის კონტროლის მთავარი სამმართველო გადაეცეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ, ხელოვნების საქმეთა სამმართველოს გამგებლობაში და გადაკეთდეს სანახაობათა და რეპერტუარის კონტროლის განყოფილებად.

2. „საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის რეორგანიზაციის შესახებ“ გამოცემული, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. მაისის 14-ის დადგენილების მე-2 მუხლიდან (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. მე-12 №-ი, მუხ. 122) ამოიშალოს სიტყვები: „მთავარი სარეპერტუარო კომიტეტი (მთავრეპერტკომი)“.

3. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ, ხელოვნების საქმეთა სამმართველოს—წარმოუდგინოს ერთი თვის ვადაზე საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს პროექტი დადგენილებისა საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატთან არსებული, სანახაობათა და რეპერტუარის კონტროლის მთავარი სამმართველოს დებულებაში სათანადო ცვლილებათა შეტანის შესახებ (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. 33 №-ი, მუხ. 250).

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **თ. ჟღენტი.**

1936 წ. ოქტომბრის 17. № 165/1312.
ტფილისი.

სოციალური უზრუნველყოფა

168. დადგენილება ს.კ.ს.

საქართველოს ღარიბ ებრაელთა დამხმარე კომიტეტის ლიკვიდაციის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის სისტემაში მყოფი, საქართველოს ღარიბ ებრაელთა დამხმარე კომიტეტი ლიკვიდირებულ იქნას.

2. ღარიბ ებრაელთა დამხმარე კომიტეტის წამოწყებები გადაეცეს 1936 წლის ოქტომბრის 1-ის ბალანსით და აქტივ-პასივით:

ა) ტფილისის სატრიკოტაჟო ფაბრიკა და ფეხსაცმელის წარმოება—საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) ქურქ-ბეწვეულის წარმოება და სასპორტო მომარაგების წარმოება ქ. ტფილისში—ა/კ სფსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამმართველოს (საქართველოს სსრ-ში) საპატიმრო ადგილების სამმართველოს;

გ) ქუთაისის სატრიკოტაჟო ფაბრიკა—ქუთაისის საქალაქო საბჭოს;

დ) ყველა დანარჩენი წიმოწყება ქ. ტფილისსა, ქუთაისსა, სოხუმსა, სტალინირსა, გორსა, ლაილაშსა, კულაშსა, ონსა, ფოთსა, საჩხერესა, სურამსა, ვანსა, ბანძასა, სუჯუნასა, ქარელსა, ახალციხესა და ახალსენაკში—საქართველოს სსრ სარეწაო კოოპერაციის სისტემაში; ამასთანავე, წინადადება მიეცეს სარეწაო კავშირს მოაწყოს ამ წამოწყებათა ქონებრივ ბაზაზე მათში მომუშავე მშრომელ ებრაელთაგან სათანადო წესდებიანი საწარმოო არტელები.

3. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას—გარდაანაწილოს 1936 წლის IV კვარტალში ღარიბ ებრაელთა დამხმარე კომიტეტის წამოწყებათათვის დანიშნული სანედლეულო ფონდები ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატსა, სარეწაო კავშირსა და სხვა უწყებებს შორის, მათ გამგებლობაში გადაცემული, მე-2 მუხლში აღნიშნული წამოწყებების შესაბამისად.

4. საბინაო მშენებლობა, რასაც ღარიბ ებრაელთა დამხმარე კომიტეტი ახორციელებს სტალინირსა, კულაშსა, საჩხერესა, ონსა, და ახალციხეში, გადაეცეს სათანადო საქალაქო საბჭოებს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, დაევალოს-რა მათ—მიიღონ ეს მშენებლობა 1936 წ. ნოემბრის 1-დან და უზრუნველყონ მისი დამთავრება სამშენებლო პროგრამით გათვალისწინებულ ვადებზე.

დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს-სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1935 წ. მარტის 27-ის დადგენილების თანახმად ზემოაღნიშნული მშენებლობის განხორციელებისათვის შემოსასვლელი სახსარი გადარიცხოს ხოლმე სათანადო ადგილობრივ ბიუჯეტში, ზემოაღნიშნული სამშენებლო ობიექტების დაფინანსების გეგმის შესაბამისად.

მეთვალყურეობის გაწევა ზემოაღნიშნული მშენებლობის მსვლელობისათვის დაეკისროს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს, რომელსაც დაევალოს—უზრუნველყოს ამ მშენებლობის მომარაგება საჭირო საშენი მასალით 1936 წლის მე-IV კვარტალის განაცხადებში.

დაევალოს სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს და ახალციხის, ჭიათურის, ონისა და სამტრედიის სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—უზრუნველყონ ღარიბ ებრაელთა დამხმარე კომიტეტისაგან მიღებულ სახლებში იმ მშრომელ ებრაელთა ჩასახლება, რომელთაც სჭირდებათ საცხოვრებელი ფართობი.

5. ღარიბ ებრაელთა დამხმარე კომიტეტის კულტურული დაწესებულებანი გადაეცეს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) ამხ. ლ. ბ. ბერიას სახელობის კულტურის სახლი—საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ, ხელოვნების საქმეთა სამმართველოს, რომელსაც დაევალოს—წარმოუდგინოს ერთი თვის ვადაზე საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავისი მოსაზრებანი ამ სახლის შემდგომში გამოყენების წესის შესახებ;

ბ) სარაიონო კლუბები—სათანადო სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს;

გ) საბავშვო კერები—სახალხო განათლების სათანადო სარაიონო განყოფილებებს;

დ) ამბულატორიები ქ. ტფილისში და რაიონებში—ჯანმრთელობის სათანადო სარაიონო განყოფილებებს.

6. სტიპენდიების მიცემა იმ მოსწავლეთათვის, რომელნიც იღებენ განათლებას საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში ღარიბ ებრაელთა დამხმარე კომიტეტის ხარჯზე, დაეკისროს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს, ხოლო პენსიის მიცემა იმ ინვალიდებისათვის, რომელნიც პენსიას ღარიბ ებრაელთა დამხმარე კომიტეტისაგან იღებდენ, დაეკისროს სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს.

7. გამოყოფილ იქნას ღარიბ ებრაელთა დამხმარე კომიტეტის საბრუნავი სახსარიდან:

ა) 1936 წლის ბოლომდე შესანახად:

ლ. ბ. ბერიას სახელობის კულტურის სახლისა	100 ათასი მან.
სარაიონო კლუბებისა	60 ათასი მან.
საბავშვო კერებისა	65 ათასი მან.
ამბულატორიებისა	40 ათასი მან.
ბ) ქ. ტფილისში საბავშვო კერის მშენებლობის დამთავრებისათვის	55 ათასი მან.
გ) 1936 წლის ბოლომდე ინვალიდებისათვის პენსიების მისაცემად	30 ათასი მან.
დ) 1936/37 და 1937/38 სასწავლო წლებში მოსწავლეებისათვის სტიპენდიების მისაცემად	280 ათასი მან.
ს უ ლ	630 ათასი მან.

აღნიშნული სახსარი გადაეცეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს ზემოხსენებულ ღონისძიებათა დასაფინანსებლად სათანადო უწყებებისა და დაწესებულებების მეშვეობით.

8. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს, სათანადო უწყებებს და ადგილობრივ საბჭოებს—გაითვალისწინონ 1937 წლის რესპუბლიკანურ და ადგილობრივ ბიუჯეტებში სათანადო ასიგნები ღარიბ ებრაელთა დამხმარე კომიტეტისაგან მიღებულ დაწესებულებათა შესა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახად და ამ კომიტეტის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით დაკისრებულ ღონისძიებათა განსახორციელებლად.

9. ღარიბ ებრაელთა დამხმარე კომიტეტის საქმეებისა და ქონების ლიკვიდაციისათვის ამა დადგენილების საფუძველზე მოწყობილ იქნას სალიკვიდაციო კომისია ამხ. ლინეცკის თავმჯდომარეობით და ამხ. ახალაძის, შაფათაშვილის, ჩხეიძისა (ფინ. სახ. კ-ტი) და დოლიძის (სოც. უზრუნველ. სახ. კ-ტი) შედგენილობით.

10. ღარიბ ებრაელთა დამხმარე კომიტეტის ლიკვიდაციის დამთავრებისა და დასკვნითი ანგარიშის და სალიკვიდაციო ბალანსის წარდგენის ვადად დაინიშნოს 1936 წ. დეკემბრის 31.

11. დაევალოს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს, სარეწაო კავშირს, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, საქალაქო საბჭოებს და უწყებებს, რომელთაც ღარიბ ებრაელთა დამხმარე კომიტეტის წამოწყებანი და დაწესებულებანი უნდა გადაეცეს, უზრუნველყონ ამ წამოწყებათა და დაწესებულებათა ნორმალური მუშაობა და შემდგომი განმტკიცება და განვითარება, იმ პირობებში, რომ არა მარტო შენარჩუნებულ იქნას მათში მუშა-ძალის არსებული კონტინგენტი, არამედ აგრეთვე შემდეგშიაც ჩაბმულ იქნან მათ მუშაობაში ქართველი ებრაელები.

12. განიმარტოს, რომ ღარიბ ებრაელთა დამხმარე კომიტეტის ლიკვიდაცია აკისრებს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს უფრო მეტ პასუხისგებას ქართველ ებრაელთა შორის მუშაობის წარმატებით დაყენებისათვის მათი აღზრდისა და შრომის სოციალისტურ სისტემაში შემდგომი ჩაბმის ხაზით.

მიენდოს სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს და იმ რაიონების სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, სადაც ქართველი ებრაელნი კომპაქტურად ცხოვრობენ, შეიმუშაონ ღონისძიებანი შრომის სოციალისტურ სისტემაში ქართველ ებრაელთა შემდგომი ჩაბმისათვის და ერთი თვის ვადაზე წარმოუდგინონ თავიანთი მოსაზრებანი საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საბჭოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. **ხ. მებუკე.**

1936 წ. ოქტომბრის 13. № 1301.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასამართლო წყობილება და სამართლის წარმოება

169. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს

სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 258 მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტების შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 258 მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტები მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

[258. ამ საქმეების რიცხვს ეკუთვნის.....].

„ა) საქმე ამა თუ იმ პირის გვარის, სახელის, მამის სახელისა და ოჯახური მდგომარეობის დადასტურების შესახებ, უკეთუ მისთვის შეუძლებელია მიიღოს ისეთი რამ დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც საადმინისტრაციო ორგანოს შეეძლოს მისცეს მას ვინაობის მოწმობა;

ბ) საქმე ისეთი გარემოების დადასტურების შესახებ, რაც უნდა ჩაწერილიყო სამოქალაქო მდგომარეობის აქტებში, დაბადების გარდა, უკეთუ ამაზე სათანადო ჩანაწერი არ არსებობს“.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ნ. ილიუშინი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **თ. ჟღენტი.**

1936 წ. ოქტომბრის 11. № 170/1375.
ტფილისი.

სისხლის სამართალი

170. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სისხლის სამართლის კოდექსის 149 და 166 მუხლების შეცვლის შესახებ.

„აბორტების აკრძალვის შესახებ“ გამოცემული, სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წ. ივნისის 27-ის დადგენილების 1-4 და 31 მუხლების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1936 წ. 34 №-ი, მუხ. 309), სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

სისხლის სამართლის კოდექსის 149 და 166 მუხლები (საქ. სსრ კან. კრ. 1935 წ. მე-14 №-ი, მუხ. 81) მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„149. ექიმის მიერ აბორტის გაკეთება საავადმყოფოს ან სამშობიარო სახლის გარეშე ან, თუნდაც საავადმყოფოში თუ საშშობიარო სახლში, ხოლო ისეთ შემთხვევაში, როდესაც ორსულობის განგრძობა არ წარმოადგენს საშიშროებას ორსული ქალის სიცოცხლისათვის ან მძიმე ზიანს არ უქადის მის ჯანმრთელობას, აგრეთვე როდესაც მშობლებს არა სჭირთ მემკვიდრეობით გადასადები მძიმე ავადმყოფობა, გამოიწვევს

საპყრობილეში დაპატიმრებას ერთი წლიდან ორ წლამდე.

აბორტის გაკეთება ანტისანიტარულ პირობებში ან ისეთი პირის მიერ, ვისაც სპეციალური სამედიცინო განათლება არა აქვს,—

საპყრობილეში დაპატიმრებას არა ნაკლებ სამი წლისა.

ქალის იძულება აბორტის გაკეთებისათვის—

საპყრობილეში დაპატიმრებას ორ წლამდე.

აბორტის გაკეთება ამა მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული პირობების დარღვევით გამოიწვევს ორსული ქალისათვის

საზოგადოებრივ გაკიცხვას, ხოლო აბორტის აკრძალვის კანონის განმეორებით დარღვევისათვის—ჯარიმას სამას მანეთამდე“.

„166. ბოროტი განზრახვით თავის არიდება სასამართლოს მიერ შვილების სარჩენად გადაწყვეტილი თანხის გადახდისაგან, იმისდამიუხედავად, რომ დამნაშავეს ამის შესაძლებლობა ჰქონდა, გამოიწვევს

საპყრობილეში დაპატიმრებას ორ წლამდე, თანაც ალიმენტების გადახდისაგან თავის ამრიდებელი პირის მოძებნაზე გაწეული ხარჯის მისთვის დაკისრებით.

მშობლის მიერ სრულიად უმწეოდ დატოვება არასრულწლოვანი შვილისა, რომელსაც 14 წელი არ შეჰსრულებია,—

იმავე სასჯელს“.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **თ. ჟღენტი.**

1936 წ. ოქტომბრის 17. № 164/1311.
ტფილისი.

ფასი 20 კაპ.

გამომცემელი საქ. სსრ ხ. კ. ხ-ოს / საქმ. მმართველობა 1936 წ. № 53. 3/მ. რედაქტორი **ე. გამრეკელი**

ქაღალდის ფორმატი 62×94 სმ.; 1 ბეჭდვ. ფურც.; 1 ბეჭდვ. ფურც. 48.500 სტამბ. ნიშანი

გადაეცა სტამბას 28/X; ხელმოწერილია დასაბეჭდად 27/XI ტირაჟი 1.900.

თავლ. რწმ. № 87096. საქ. სახ. კომ. საბჭოს საქმ. მმართვ. სტამბა, ტფილისი. დაკ. № 989